შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, ტესტის III ნაწილში მოცემულია ორი დავალება. უნდა აირჩიოთ და შეასრულოთ **ერთ-ერთი მათგანი** (დავალება N1 ან დავალება N2).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 45 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

ბარბარე ჯორჯაძე

XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში აქტიურად განიხილებოდა ისეთი საკითხი, როგორც საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალების გამოსვლაა. ქალთა უფლებებზე პირველი ალაპარაკდა ბარბარე ჯორჯაძე ვინც არაერთი საგულისხმო წერილი მიუძღვნა ამ პრობლემას. მას მტკიცედ წამდა რომ აუცილებელი იყო ქალების საყოველთაო განათლება და მათთვის სამოქალაქო უფლებების მინიჭება.

ბარბარე ჯორჯაძე მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი გაბედულად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და მრავალ მიმართულებებით მოსინჯა საკუთარი შესაძლებლობები, კერძოდ იგი მწერალიც იყო, პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა და ქალთა თანასწორობასაც ქადაგებდა. ბარბარე ჯორჯაძე ცხოვრების ბოლომდე დიდი ინტერესით ეცნობოდა სიახლეებს. მას ყველა მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით ჰქონდა საკუთარი პოზიცია. აღსანიშნავია რომ მან წერაკითხვის სწავლების საკუთარი მეთოდი შეიმუშავა. ბარბარე ჯორჯაძე გახლავთ ავტორი პირველი ქართული კულინარიული წიგნისა, რომელიც იმ ეპოქის მატიანეა ენობრივი, კულტურული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

ბარბარე ჯორჯაძე იყო ერთადერთი ქალი რომელიც ილია ჭავჭავაძეს შეეკამათა ქართული ენის მოდერნიზაციის საკითხთან დაკავშირებით. მისი სტატიებისა თუ მოსაზრებების ბეჭდვას ხშირათ ახდენდნენ ჟურნალ-გაზეთები „ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“ და „ჯეჯილი“.

II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

ჩვენი მომავალი კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს საზოგადოება გონივრულად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები და არ დააზიანოს გარემო.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დ ა ვ ა ლ ე ბ ა N 1

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები აკაკი წერეთლის პოემიდან „გამზრდელი“:

ირიჟრაჟა, ქარი ჩადგა,
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯ ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.

მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარად, ფრთხილად.
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილად.

აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია,
სულს სწირავს და თავს ევლება...

სასოებით შედის ქვაბში
და რას ჰხედავს იქ საკვირველს?!
ნაზიბროლა ჩუმად სტირის,
პირს იხოკავს, იკაწრავს ყელს!..

მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!..
და, რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

დიდხანს იჯდა რეტდასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.

მივიდა და უთხრა მტირალს:
„ჩუ, ნუ სტირი, გენაცვალე!
რაც გინახავს, სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!..

გადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი“.

მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.

მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ, მგონია, დღეს!“

წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!..
მაგრამ როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,

გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!“...

ხან ესა სთქვეს, ხან ისა სთქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთხანად,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანად.

გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმადური.

შეუკაზმა ცხენი, შესვა,
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე...

რომ ჩავიდენ შორიახლოს
მინდვრის პირად, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:

– „საფარ-ბეგო! პირშავობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!

არა სთქვა რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელად საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!

ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილად! არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედად
შენი სისხლი არ დავღვარო!“

ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...

ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ!..
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..

შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით

შენ წინ თავი დამიხრია...

ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე!..“

– „არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...

რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გასტეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად.

წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდა გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!“

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *<u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u>* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ მასპინძლის (ბათუს) მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დ ა ვ ა ლ ე ბ ა N2

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „ჩვიდმეტი წლისანი“:

ერთმანეთი საპროტესტო კომისიის მოსაცდელში გაიცნეს. ორივეს „სამი“ დაუტოვეს, ბიჭსაც და გოგოსაც. ახლა ავტობუსიდან ჩამოვიდნენ და მზით გავარვარებულ ტროტუარს გაჰყვნენ.

ბიჭი თხელი იყო, მაღალი, სოფლურად მზემოკიდებული... ვიწრო, გახუნებული ჯინსი და სქელლანჩიანი, ტყავის დახურული ფეხსაცმელები ეცვა... ბიჭი მოკლე, მაგრამ ღონიერი ნაბიჯებით მიდიოდა, გოგო – თითქმის არ აცილებდა ტროტუარს ფეხებს, როცა ბიჭი მიხედავდა, თითქოს კრთოდა, მხრამდე ძლივს სწვდებოდა.

ბიჭი შეჩერდა, გოგოს მიუბრუნდა, მკვეთრად მიადგა ფეხი ფეხთან.

– მოდი, ნაყინი ვჭამოთ.

გოგომ მორჩილად ახედა...

– ბევრი ხალხი როა?

– გეჩქარებათ?

გოგომ მხრები აიჩეჩა და თავი გვერდზე გადახარა. კეთილი, თანამგრძნობელი თვალები ჰქონდა.

– შევიდეთ, გული გავიგრილოთ, – გაიცინა ბიჭმა.

– მაშინ მე დაგპატიჟებთ, – გაწითლდა გოგო და საფულე ამოიღო, იქვე გახსნა.

ბიჭმა ალერსით შეხედა, შუბლზე სამი წვრილი ხაზი დააჩნდა.

– ამჯერად მე, – თქვა მან და დაელოდა, გოგო სანაყინისკენ წასულიყო.

ბიჭი სანაყინეში შევიდა, გოგოც შეჰყვა.

სანაყინეში კიდევ უფრო ცხელოდა. ერთხანს უხერხულად იდგნენ, თითქოს სულს ძლივს ითქვამდნენ, თან მაგიდებს ათვალიერებდნენ.

– აგერ იქ, მოხუცი რომ ზის, – ბიჭისკენ მიიწია და ჩუმად თქვა გოგომ.

– უუ, ეგ მოხუცი ერთ საათს არ ადგება მანდედან.
– მაშინ აქეთ, ქალი და ბავშვი რომ სხედან.
– მანდ – კი.
წავიდნენ, წინ გოგო მიდიოდა, უკან – ბიჭი, სკამი ერთი იყო თავისუფალი მაგიდასთან. ბიჭმა გამოსწია და გოგოს უთხრა:
– დაბრძანდით.
– არა, თქვენ დაბრძანდით და მე მოვიტან.
ბიჭმა ღიმილიანი საყვედურით შეხედა.
– კარგით რა!
გოგო დაჯდა, ცხვირსახოცი ამოიღო და სახესთან დაინიავა.
ბიჭი დახლთან მივიდა და გოგოს იქიდან გამოხედა. ძალიან თეთრი საკინძეჩახსნილი პერანგი ეცვა, სახე გამხდარი ჰქონდა. გოგომ გაუღიმა, მერე ქალზე და პატარა ბიჭზე გადაიტანა მზერა...
ამასობაში დიდმა ბიჭმა ნაყინი მოიტანა, გოგო სახტად დარჩა.
– რამდენია ეს?
– სამას-სამასი.
– ჩემთვისაც?
– თქვენთვისაც.
– აუჰ, ჩემს დღეში არ მიჭამია ამდენი!
პატარა ბიჭს ეცინებოდა, დედამისი დიდ ბიჭს უყურებდა სერიოზულად. აღარ დაეცადა პატარას, წამოდგა – გეყოფაო, ქაღალდით მოსწმინდა ტუჩები, მოჰკიდა ხელი და კარისკენ წაიყვანა. პატარა ბიჭი უკან იხედებოდა.
– მოეწონეთ, – უთხრა ბიჭმა გოგოს.
– მოვეწონე კი არა, დამცინის, როგორ უნდა გაათავო მაგდენიო.
– გავათავებთ. ნელ-ნელა შევექცეთ და... ერთი ბიჭი იყო მატარებელში. ამ ზამთარს რომელიღაც ინტერნატიდან თუ პროფსასწავლებლიდან მიდიოდა თავის სოფელში, ქართლში, იჯდა ვაგონის ფანჯარასთან, გაიყურებოდა სულ გარეთ. უცებ

მობრუნდა და თავისთვის, მაგრამ ხმამაღლა თქვა: ჩავალ ეხლა შინ და შევექცევი ინდაურის ბარკლებსო. მას შემდეგ სულ ეს მახსენდება, ეს სიტყვაც და ის ბიჭიც. შევექცევი... თუმცა რა – ეხლა მეც ჩავალ ჩემს სოფელში და შევექცევი ჩვენს ქართულ გულაბსა.

ბიჭი წელში გაიმართა, უკანაც გადაიწია.

– მართლა აღარ აპირებთ შემდეგ გამოცდაზე გასვლას?

– არა, არც შემდეგზე, არც იმის შემდეგზე და არც არასოდეს.

გოგომ კოვზი რკინის თასში ჩატოვა.

– სერიოზულად?

– სრულიად სერიოზულად.

– აბა, რას აპირებთ?

– არაფერს. ახლა მყნობის დროა, ჩავალ, ავიღებ სანამყენე დანას და წავალ მეურნეობაში...

გოგო დადარდიანებული ჩასცქეროდა თასს.

– მეც აღარ გავალ.

– თქვენ რატომ? თქვენი სამიანი სხვაა, თქვენ ხომ ხუთი გაქვთ ატესტატის ნიშანი? თქვენი სამიანი სხვაა...

გოგო ღიმილით უყურებდა.

– ჯარში რომ წაგიყვანენ?

– მერე რა... მჭვარტლიან მილში რომ შემსვან, ორ წელიწადს იმ მილში გავძლებ. ჩამოვალ მერე და ჩემი ნამყენებიც დიდები იქნება. მე ერთი უბრალო მებაღე მინდა ვიყო.

– მაშინ აგრონომიულზე უნდა შეგეტანა საბუთები.

– რა აგრონომიული სჭირდება მებაღეობას. ბარი, თოხი, ხერხი და მაკრატელი.

– ყველა რომ თქვენი უფროსი იქნება, ყველა უმეცარი, უბრალო ბრიგადირიც კი?

– ჩემი უფროსი ვერავინ ვერ იქნება.

გოგომ კმაყოფილების ღიმილით შეხედა. ბიჭს წვრილი მკლავები და კიდევ უფრო წვრილი თითები ჰქონდა. ასეთი თითები – პიანისტებს! მერე გოგო გაწითლდა და თქვა:

– თქვენ კარგი ხართ, თქვენ უთუოდ ისწავლით.

გაუმწეოებულმა ბიჭმა ამობრუნებული ხელები დააწყო მაგიდაზე.

– ისევ ეს უმაღლესში სწავლა! სწავლაა ყველაფერი? მე ავაშენებ კარგ სახლს, უკვე ვიცი როგორსაც, მსუბუქად მსუნთქავს, ცისფერს, გავაკეთებ კარგ, კარგ ბაღს – ესაა ჩემი ოცნება. მექნება კარგი ბიბლიოთეკა.

– ხომ გითხარით! – წამოიძახა გოგომ.

– რა მითხარით?

– რომ თქვენ აუცილებლად ისწავლით.

– რა სწავლაა ეს? მექნება ტელევიზორი, მეყოლება ძროხა, კარგი ძროხა. ჩვენი ხელით მოწველილ რძეს დავალევინებთ ბავშვებს. ბავშვები გაიზრდებიან მწვანე ბალახში, ლურჯი ცის ქვეშ.

გოგომ თითქმის მაგიდას დაადო შუბლი. იცინოდა ჩუმად, სიამოვნებით.

– რა უნდა კაცს მეტი?

– არაფერი, – ამოხედა გოგომ. – არაფერი, თუ ჯანი და ენერგია გეყოთ...

– მამიდაშვილი მყავს ერთი, დღე-ღამეში ექვს საათს მაინც უკრავს პიანინოზე, თანაც ლექციების შემდეგ. ექვს საათს ყოველდღე, რა გუნებაზედაც უნდა იყოს. თუკი მისი საქმე ღირს ამდენ შრომად, მებაღეობამ რაღა დააშავა.

– პიანინოზე დაკვრა ინტელექტუალური სამუშაოა, სხვა ფასი აქვს ხალხის თვალში.

– მებაღეობაა არაინტელექტუალური სამუშაო? ყოფილხართ მამულაშვილის ბაღში, მცხეთაში? გინახავთ იაპონური ბაღები კინოში? არ იცით, რა არის იკებანა?

გოგომ მხრები აიჩეჩა.

– თაიგულების კეთების ხელოვნებაა...

გარეთ რომ გამოვიდნენ, მზე მაღალ ხეებს მოჰფარებოდა და თითქოს უკვე გრილოდა.

– თქვენ უნდა გახვიდეთ გამოცდაზე, თქვენ აუცილებლად უნდა გახვიდეთ, – ამბობდა ბიჭი და რაღაცას დაეძებდა გაზონში. ბოლოს მოამტვრია რაღაც ხმელი წკირები, დაადო ზედ ერთი ბალახის ღერი და ერთიც ორფოთლიანი რტო, ასწია ცისკენ და დაიძახა:

– შეხედეთ, ცის ფონზე შეხედეთ.

გოგო მუხლებში ოდნავ ჩაიხარა და ისე შეხედა. ლურჯ ცაზე ორი მოყვითალო ფოთოლი, ერთი ღონივრად ახაზული ბალახი და სამიც შავადგაკლაკნილი როკი იყო დახატული.

– აი, ესაა იკებანა!

– თქვენ გენიოსი ხართ! – წამოიძახა მკერდთან ხელებმიტყუპებულმა გოგომ.

ბიჭს სახე მოეჭყანა.

– გახვალთ გამოცდაზე?

– თუ თქვენც გამოხვალთ.

– მე არა. რა აზრი აქვს. ატესტატის ნიშნიანად უკვე სამნახევარი ქულა მაქვს დაკარგული. ამგვარი დანაკარგებით ფილოლოგიურზე არ ხვდებიან. გამოცდაზე არა, მაგრამ ისე უნივერსიტეტთან ვიდგები მთელ დღეს, დილიდან საღამომდის, თუ გინდათ, გათენებამდისაც.

ვერც გოგო ხედავდა, ვერც ბიჭი და ვერც სხვა გამვლელები. მათ წინ, სიცხისაგან დარბილებულ ტროტუარზე, ამაყად მიაბიჯებდა მხარიღლივ შვილდგადაგდებული მთლად შიშველი ხუჭუჭი ბიჭუნა, პატარა ფუნჩულა ფეხები კანჭებამდე ჰქონდა დასვრილი მტვრით. უკან მიჰყვებოდა დაღლილი თვალებნაღვლიანი მფარველი ანგელოსი.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *<u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u>* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ბიჭის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!